ილიას საღამო

ფშავის ხევიდან ვესტუმრე
დღეს იმერეთის მხარესა.
ამ ტურფა არე-მარეში
ფიქრებს განვიცდი მწარესა.

ვდღესასწაულობთ კარგ დღესა,
დაღამებულსა შავადა,
ბოლოს-ღა ვიხრით მის წინ ქედს,
ვინც ჩვენ მოვკალით ძალადა.
ბოლოს-ღა ვტირით და ვნანობთ,
რად მოვეპყარით ავადა
დიდს მოამაგეს მამასა,
ჩვენს საწყლობაზე მტირალსა:
¨გაფხიზლდით¨, ¨გაიღვიძეთო¨,
დაუცხრომელად მყვირალსა,
ქართველ მუშაკთა წინამძღვარს,
მოაზრეს გასაკვირალსა.
გზა შევუკარით, თოფები
ვესროლეთ, როგორც ფირალსა.

მას, ვინც ურჩევდა თავადსა,
ძმობა ჰქონიყო გლეხთანა,
სწამდა, რომ ამით ძალასა
შეიმატებდა ქვეყანა,
და უფრო საშიშრად ჰქმნიდა
ერთად ორივეს მტერთანა.
ვინაც თავისი სამშობლო
თვით ღმერთზე მეტად იწამა
და დიდად პატარა ერი
გულმა ითვისა მისამა,
უდროოდ უნდა შეჭამოს
ოხერმა დედამიწამა?!

ახ, რა ცუდია, რა ცუდი
გზა-არეულად მსჯელობა,
ცეცხლ-მოდებულის ერისა
თავისვე თავის მტერობა!
დიდხანს იცოცხლებს ჩვენშია,
ნეტავ, ასეთი ხელობა?

შავმა დრომ შავი ნაყოფი
ჩამოგვაბერტყა თავზედა;
ცრემლი, ცეცხლი და მუქარა
დარაჯად გვიდგა კარზედა.
ნუთუ არ არის ეხლა დრო,
ვმღერდეთ შეწყობილს ხმაზედა?

გაფრინდი, ჩემო ოცნებავ,
გასჭერ სამარის დირენი,
იქ ნახავ მამულიშვილთა,
არიან არა-მცირენი, -
და დაამშვიდე ამ ამბით
ის ჩემი ამატირენი.

ჩვენს ილიასაც იქ ნახავ,
გთხოვ, ანუგეშო სიტყვითა:
მტკიცდება ქართველთ კავშირი
ძმობა-ერთობის ფიცითა,
მტერსა და მოკეთეს ვარჩევთ,
კარგი და ავი ვიცითა,
მის ანდერძს ვიჭდევთ გულში ღრმად,
ვატარებთ გულის ფიცრითა.

1910 წ.